ISSN 0132-60

# ნიბლია

23

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლაშვილი

ნომერი ეძღვნება აკაკი წერეთლის დაბადების 140-ე წლისთავს

# გამტკიცდით, თავენი ჭირიმე!

მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა, გულს სიწმინდით ახურებდეს!

ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა!

მადლობა უფალს! მოვიდა წარღვნა, რომ წაილეკოს
უსამართლობა!

ბნელს ნათელმა მოაშუქა და ერთ რამედ ესეც ღირსო!

ამ სიტყვებმა მომიმატეს მე სიმხნე და ერთგულება,
გულმა იგრძნო ფოლადობა და სულმაცა ამაღლება!

თითქო ჭაბუკი ვიყო მე ახლა და ვყოფილიყო მოხუცი ძველად!

შრომა ხალხისა, შეერთებული ძალთა-ძალია სტიქიონური,
ვერ შეაჩერებს მას ვერაფერი!

დღეს გამოჩნდება, ვინც არის ვაჟკაცი ჩვენთაგანიო!
ამაზე კარგი რად გინდა ბურთი და მოედანიო?

როდესაც ასე დარწმუნებული არის რამეზე ერთპირად ერი,
მაშინ ის არის გულით და სულით ამაღლებული გმირი-ძლიერი!

სიტყვა თესლია, საქმე ნაყოფი

საქმეა, მხოლოდ საქმე საჭირო, გულიცა წმინდად დაბადებული
და ქვეყნიურის კეთილ ზრახვებით სული სიწრფელით
გაახლებული!..

მეც კარგად მესმის, რომ ქვეყნიურის შრომით ეძლევა სულს
ნეტარება!

მუშაბო, თქვენი მარჯვენა იკურთხოს, ოფლით ნაბანი!

უნდა დავსცეთ თავზე მეხი, გაურჯელად ვინც ნეტარებს!..

თავი მოუკვდეს ზოგიერთს, რომ იტაცებენ სხვისასა!

პატიოსანს ღარიბს რით სჯობს გამდიდრებული იუდა?

ქვეყნის ორგული რომ არ დაზოგოს, ყოველ კაცსა აქვს სრული
უფლება!

ხმალზე უფრო ძლიერად სჭრის პატარა და რბილი ენა,
გაჰკვეთს ხვანჯსა უგნურების... მისი ტყვეა ხშირად სმენა.
დროზე უნდა მოხმარება, მხმარებელიც გონიერი,
რომ ხან ნაღვლით გაილესოს, ხან ძირტკბილით ენის წვერი!..

პოეტო! ნურც შენ ეკრძალვი მრისხანე გულის ღელვასა!..
ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი და სიბნელის დროს ელვასა!

ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს, ისიც მიყვარს, ვინც რომ კი
მძულს.
მწარე ენას ვამსახურებ განწმენდილს და მარად ტკბილ გულს.

სხვისი ლხინით ხომ ვიხარებ, თუ რომ ჩემ თავს დავრჩი ავად,
და მაინც არ აღვიარებ შავს თეთრად და თეთრსა შავად!..

მეტს არას გეტყვით!.. რა საჭიროა მომეტებული სიტყვა და რჩევა?

აკაკი

მე ვარ შენი ერთგული,
ხხვა მოგატყუებს ყველა!

შეიბრალე თავი შენი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!



მასზე გამვლელს. უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი მტკიცე გული!..

ჭირისუფალს მხოლოდ ცრემლი შვენისო!
ეს ცინის... როგორ არა რცხვენისო?!

# გარემოების საყვირი

**ქართულ** ლიტერატურაში გაჭირდება მეორე მწერლის მოძებნა, ვისი სიტყვის სატირული ძახვილი აკაკისას უსწორდებოდეს. აკაკიმ ერთ ლექსში გოგოლის ყოვლისგარდამქმნელ სმას „უცნაური ხარხარი“ უწოდა და ჩვენი ხალხიც არაერთხელ ყოფილა მოსმე აკაკის სიცილის დანანგრეველი ძალისა. ჩვენში ყველაზე მარჯვედ სწორედ იგი იყენებდა ეზოპეს ენას და არ ყოფილა რაიმე მანკიერება თუ ცალკეულ ადამიანთა თავგასულობა, აკაკი რომ არ შებრძოლებოდეს!

აკაკივით პირდაპირ, დაუფარავად არავის უმხილებია ჩვენი ხალხის ესა თუ ის დასაგმობი საქციელი. ბევრმა ჩვენგანმა დღესაც არ იცის, რომ ღირსეულ მოქალაქეს სიცოცხლეშიაც უნდა დაუფასოს ამაგი. აკაკი ძალზე მწვავედ განიცდიდა ამ უმადურობასა და თვალთმაქცობას და ერთ ლექსში („**დაპარსვა**“) წერდა:

**სიცოცხლეში რა ვიცით? —**
**მტრობა, გმობა, ყვედრება!**
**მაგრამ დამარხვაში კი**
**ვერავინ შეგვედრება!..**
**დეპეშა დეპეშებზე**
**მოდის გახურებული!**
**ხორა-ხორა ეგება**
**გვირგვინების კრებული!**
**დიახ! ქართველ მოღვაწეს**
**ყველას თვალში ვამცირებთ:**
**სიცოცხლეში ვატირებთ!**
**რომ მოკვდება — ვიტირებთ!**

შინაურთა ქიშპობა და შეხლა-შემოხლა გულს უკლავდა დიდ პოეტს. ზოგჯერ მგონია, მიწის თუ ქონების ვაყოფაზე სასიკვდილოდ წაკიდებული ძმების ამბავია გადმოცემული ამ სტრიქონებში:

**ქართველს ქართველი მოუკლავს**
**და უპატრონოდ გორავსა.**

დღევანდელ ქორვაჭრებსაც გულში უნდა მოხვდეთ აკაკის ნასროლი ისარი. ეს პარაზიტები, რომელთაც ჭირნახულის მოყვანაზე ცვარი ოფლი არ დასდენიათ, დღესაც უხვად შესევიან ჩვენს ბაზრებს და თაღლითობით ჯიბესა და კისერს ისქელებენ:

**სოფლებს ატყავებ უშიშრად**
**და თამამად ჰხრავ ქალაქსა!..**
**სისხლმეტი ხომ არ გაწუხებს,**
**ხომ არ თხოულობ დალაქსა?!**

ეს ასი წლის წინათ არის ნათქვამი და ამ სიტყვებს არც დღეს დაუკარგავთ ძალა.

ბუნებრივია, აკაკის არც ის დარჩებოდა აღუნიშნავი, თუ რაგორ გადააგვარებს ადამიანს მოძულეობა, როგორ უკარგავს მას სახეს კაწუწკება, ფული:

**ჯიბიდან შეეპარები**
**წმინდა გულს გასახრწნელადა,**
**სწორ მხედველობას წაართმევ,**
**ნათელს უჩვენებ ბნელადა!**

აკაკის სატირა ჭეშმარიტად არისტოფანესეულ განმგმირავ ძალას იძენს, როცა სამართლის „მსახურ“ მექრთამეებს გვიხატავს:

**არ ყაყანებენ ისე ბატები**
**და არ ჭყივიან მარტში კატები,**
**როგორც ჰყვირიან სამსჯავროებში**
**ჩვენ დასაღუპად ადვოკატები.**

ეს გაქნილი, ენაგატლეკილი საქმოსნები ყოველგვარ „**სამართალს, რიგს და წყობას ანგრევენ**“, თავად ფულებს ხვეტენ, ხოლო საბრალო მსხვერპლს — „**მოდავეს ხელში რჩება მოხლე**“. აკაკი, რა თქმა უნდა, მექრთამეობას მარტო სამართლის მსახურთა მონოპოლიად არ თვლიდა, გაცილებით ფართო მასშტაბის ზნედაცემულობად მიაჩნდა.

გრაფომანები, უნიჭო მჯღაბნელები, მწერლობას მიტმასნებული მედღეკვეები სანთლით საძებარნი არც გასულ საუკუნეში ყოფილან და, ბუნებრივია, აკაკის რისხვას ვერც ისინი გადაურჩებოდნენ:

**თუ იდეალი მწერლისა**
**მხოლოდ პური და გროშია,**
**რა არის, თუ არ წუპაკი,**
**პურისთვის მყეფი გოშია?**
**გამრავლებულან მჯღაბავნი**
**ყოველგან ამ ჩვენ დროშია**
**და ისე ჰგვანან მწერლებსა,**
**როგორც ლომს და ვეფხვს —**
**გოშია.**

აკაკი რისი აკაკი იქნებოდა, მუცელს გადაყოლილი ცრუ პატრიოტი რომ არ გაებურთავებინა?! ასეთს ხამშობლი მხოლოდ ქეიფის დროს ახსოვს და სიმთვრალეში გაიძახის საღეკრძელოებს. მშობლიური ტაბლა თუ არ ვაუშალეს, არც ამაზე მოიკლავს თავს, უძალ სხვის სუფრას მიუჩოჩდება — ისი ყველა გრძნობა ხომ კუჭში იყრის თავს, ოღონდ მუცელი ამოიყოროს და არ დაეძებს, რითი:

**დავეწაფები გულით კვასს,**
**გავსისინდები ქაშითა**
**და, კუჭად გადაქცეული,**
**გულს დავიფარავ ფაშვითა!..**

საგანგებო გარჩევის ღირსია მოზრდილი სატირული ლექსი „**ჰარორაძა**“, სადაც ცრუმოღვაწეთა მოელი ვალერია ჩაივლის ჩვენს თვალწინ. აქ არიან „**ენაჭახრაკ, საქმეხრიკა ლიბერალები**“, პეტიჩარა, მეთავისე პუბლიცისტები, თხასავით მუდამ „მე-მეს“ რომ გაიძახიან. აქვე გახლავთ „**შეფერეული ეითომ პოეტი**“, ვინც უაზრო სიტყვებს „**აბდაუბდად მიაკოსებს-მოაკოსებს**“ და ვისაც ფუტვინო, უნამუსო „**კაჭკაჭა-კრიტიკოსები**“ განუკითხავად აღმერთებენ. აკაკი არც მაშინდელი პედაგოგების ერთ ნაწილზე ყოფილა დიდი აზრისა, ვინც თავად უსწავლელია, ის ხეცას ვერ აღზრდის:

**მეხრე-ტეტია მიხაკა**
**და ღვიტიკელა გოგია,**
**ვინც ქართულს დაამახინჯებს,**
**სუყველა პედაგოგია!..**

აკაკი როდია იმის მომხრე, მართალი და მტყუანი აბუჩად იქნას აგდებული; იგი ცდილობს, ყველას კუთვნილი მიაგოს:

**ვინც ღირსია, მას თაყვანი!..**
**ვინც არა და — მას პანღური!..**

აკაკის ღიმილს ჰგვრის ზოგიერთი ადამიანის შეუფერებელი საქციელი. ერთ „ბებერ არისტოკრატკას“, რომელსაც თავის დროზე მშობლიური ქვეყნის კუთხეების სანახავად ვერ მოუცლია, სიცოცხლის მიწურულს შორეულ მანჯურიის გაცნობა მოუწადინებია. პოეტი მსუბუქად კენწლავს ამ ახირებულ ტურისტს:

**საქართველო მოგწყენია,**
**გენატრება მანჯურია?**
**დროა, ძვლები მოასვენო,**
**რა დროს შენი ჯმაჯურია?**

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა სამარცხვინო ბოძზე ვაკრა აკაკიმ მეფის ცენზორი, ქართული აზრის ღამასაჭურისებელი ლუკა ისარლიევი. ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი კაცუნა ვანგმირა მისმა დაუნდობელმა კალამმა?! ამ მხრივ საყურადღებოა მცირე ექსპრომტი, რომელსაც, ეტყობა, რეალური ფაქტი და კონკრეტული პიროვნება უდევს საფუძვლად, მაგრამ დიდ განმაზოგადებელ ძალას იჩენს:

**დევთა შორის ჯუჯა დიდის ,**
**ხმას არ იღებს, არ წევისა...**
**თქვენ მომკალით, თუ რომ მაგან**
**კვერცხი დადვას არწევისა!**

სულითა და სხეულით ძახინჯი, არამაღლუკმით ჩიჩახვგამოტენილი არსება ვის რაში წაადგება?! — ღობემძვრალას ვერ მოვსთხოვთ არწივივით ცაში ნავარდს! ამ ექსპრომტიდან ისიც ჩანს, თუ რა კომიკური ეფექტის მოხდენა შეუძლია ოსტატურად ვამოყენებულ ბალბასს.

აკაკის სატირასა და იუმორს ღრმა, საფუძვლიანი შესწავლა ესაჭიროება. თავად პოეტმა საუცხოოდ იცოდა თავისი ბასრი კალამის ხასიათი, მიზანდასახულობა და კიდევაც ამბობდა ქვეყნის უკულმართობის შემხედვარე, „**ვიცინი აკაკურადო**“. აკაკისგან ჩვენ ძალზე ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია: მისი ძოელვარე, გამკილავი ნიჭი კიდევ არაერთ ადამიანურ ნაკლსა და უმსგავსოებაზე აგვიხელს თვალს!

**ემზარ კვიტაიშვილი**

**გამიქვავდეს მაშინ ენა,**
**თუ რომ ვისმე მივეფერო,**
**და გამისმეს ეს მარჯვენა,**
**თუ სიმართლით სიმი**
**ვაჟღერო!..**
**აკაკი**

თითქოს გაქვავდა ეს ხალხი,
უხმოდ, უძრავად მდგარია.



მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისაც გვმართებს სამსახური!

ნეტავ მამცნო, ამბავარ ჭორებს
სად ტყობილობს? საიდან ჰკრებს?

ბიუროკრატი, როგორც რომ ჩრჩილი,
კაცურ ღირსებას ღრღნიდა ნელ-ნელა!

მაშ, ოხ, ღმერთო, რად წაგვერთო
ჩვენ კავშირი შემაერთო?!

## ვის რა ათქმევინა აკაკიმ

● **მსჯავრდადებულ საქმოსანს:** იქიერებთი ვარ აწ მთქმელი ყოველსფერის-უნაკლულოდო!

● **ბიუროკრატი ხელმძღვანელის მდივანს:** ნაბრძანები მაქვს, სხვა არ მივიღო: მარტო შენთან ჯსტის დღეს საუბარი!

● **მაამებელ ხელქვეითს:** გულში ბეერი მაქვს მასთან სათქმელი და პირადად კი ვერას ეუბედავ!

● **ზოგიერთი რაიონული საავადმყოფოდან გამოწერილს:** სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეთ!..

● **ცუდი შვილის დედას:** დედას თმას ნუ მაწეწინე, ნუ ჩამაცმევ მაგსო!

● **ფალსიფიკატორ მეფუტკრეს:** შაქრით მყავდი გაზრდილი, შენთვის ვლეკიდის-კიდე!

● **პროტექტორს:** ან როს ფარულად მანა შენ ჩემთან გამოგგზავნა, ანგელოზი სუფეცდა მის გულში, თუ სატანა?

● **ობივატელს:** აქეთაც ვარ, იქითაც ვარ, მოყვარს შეა მე ტრიალ!.. მაგრამ არსად კი არა ვარ, ჩემთვისა ვარ, ნეიტრალი!

● **„შაბაშნიკებს“:** უნდა შორს სადმე წავიდეთ ფუღეების საძებნელადა!

● **ანონიმასტს:** უმანკოებს ცილი შეეწამოთ და საქმე რამ ურცხვად დავძრახოთ!

## სიზმარი

(პაროდია)

ერთხელ მხოლოდ, — ისიც ძილში, —
ქარფეული კაცთა ენახე კრება! —
ოო ერთი მიმატება,
გაყოფა და გამოკლება!
სკამზე იჯდა დირექტორი,
მოქმედებდეო, ეუბნიან!
მარეხნივ ეფდა ნიეფორე,
მარჯვნივ — ჩვენი ყარამანი!
შემოიდა ვილაც ტიპი,
ტუქ-ფურამდე გაბეული,
ხელში ეპყრა მონინებით
რალაც მაგრად შეხვეული!..
თავვანი სცა დირექტორს და
მას წინ ბუხალი მოიყარა!
გაეხარდა გუფში უფროსს:
„ალბათ, სერგომ მოიყვანა!“
აქეე, ახლავ ნაკოცნიდე,
დასტურ ვამბობ, განა ქორსა,
მაგრამ უნდა დაეკრა
თავი, როგორც დირექტორსა!
უთხრა: „ძმაღლობ, ვერ გადვიხდი,
ჩემო კაკო, ღღეს შენს ვალსო,
თუკი ვინმემ განაყენინოს,
დავუფენ ორსაც თვალსო!“
მეუბრუნდა მერე იქ ბეოფი —
ნიეფოს და ვარამანსა:
„რამე ლაშინ თუ იშოოთო,
გაუყავით, ძმებო, მასაც!“
ესა თქვა და მაღლა ციდან
გადმოფშვა ეისარტყეელა,
ჩვენი უბნის მალიციელს
ნაეყვანა თფრმე ყველა!
გამეღვიძა!.. გული დამშეყდა!.
ნაღალანად გამეეინა!..
და ვთქვი „ძმებო, ამაში არ მენახა,
საუკუნოდ დამეძინა!“

ტია-ტია

## ვიზზე რა თქვა აკაკიმ

● **ჩვენს საბეღოვან წინაპრებზე:** მთვრალობა და „სადღეგრძელო“ სათვითოო არ იცოდნენ; ჩვენი ლბინი რომ ენახათ, სირცხვილთაც დაიწვიდნენ... საქმის დროზე მუშაობდნენ, უქმე ღღეზე მოიღხენდნენ!

● **კახელ მეეკნახეზე:** აგშორდეს გვალვა და სეტყვა, მოსავლის გამოკანაო!..

● **ირაკლი ებაშიძეზე:** ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს, მნახველია ცა და ქვეყნის!.. დიახ, ი რ ა კ ლ ი! ანდამატივით ვარს შემოისხა ყმაწვილკაცობა და მათ უჩეენა სამგალითოდ პირადი ღვაწლი და მამაცობა.

● **ნეგატივიზმის პერიოდზე:** რა რომ მაშინ ჭირი ვნახეთ, ძნელი არის აწ სათქმელადა.

● **ვაი-ქართველზე:** „მოდნებს“ დასდევ, იმაში ხარ გართული, წერა-კითხვა გეხარება ქართული! დრო და ჟამის ნარნარი ხარ ქმნილება, „პაკალესტაც“ მიტომ ვეადეოლება, არ შეგშვეხის ამობლიერი არა რა!

● **ბიუროკრატებზე:** ჩვენს სამეზე როცა მივალთ, ვეეტყვიან: „ზვალეო“, და, ჩვენ როცა დაგვსაქმეგენ, მაშინ კი— „მალეო!“

● **ქამათში გამოსული ზოგიერთ ამხანაგებზე:** ახლა არ გვგლეჯენ ენასა, სთქვით რამე, თქვენნი ჭირიმე!

● **არაკომპეტენტურ ხელმძღვანელზე:** და შუბლზედაც აწერია სხვილ ასოთი დიდი ნოლი.

● **ინდიფერენტულ მუშაზე:** არვის უნახავს ის მოწყენილი, არც მხიარული და არც გამწყრალი.

● **ჭორსაყოლიელზე:** განაგონებით გადასწყვეტს, რისიცა არმნახველია!

● **აგტოპუს-ტროლეიბუსებზე:** დაიგვიანეს, ჯერ არსად სრანან!

● **საპროტეტიკო წერილზე:** მისთვის გიდგმ უბეში, ვალობა ცრემლის გუბეში, ამისრულო, რაც გითხრეს, თუ ხარ ჩემი ნუგეში!

● **მცინარაზე:** მაშ, ნუ გძინავს! გაიღვიძე! იცან ქვეყანაო!

● **აკ მეზობელზე:** კბილებს ილესავს ბრაზმორეული, არც დღე, არც ღამე ალარ აქვს ძილი.

● **ზოგიერთ ახალგაზრდაზე:** შენზე ია სკრის სხვისი სურვილი, არცა ვედოგა და არც მოქარა, მაგრამ შენთავად ეა გადასწყვეტე? ასრულებ ქვეყნის წადილს თუ არა?

● **უვიც ამბატორიენტზე:** ჩაუვარდა ენა პირში, გაქვავდა და ალარ იქერის...

● **ხალიციგაზე:** თვალით გიყურებ, არ მჯერა... მგონინხარ მოჩენენეაო!

● **ცილისმწამებელზე:** რათა გაქეს ეგ მწარე ენა? სიტყვას არ იტყვე, თუ არ დაშბამეულს!

● **07-სა და 09-ზე:** არც ერთი პასუხს არ მაძლევს და იმან გამაკაპასა.

● **ზოგიერთ მოსამართლეზე:** წალმას ულუმს, უკულმას წალმა თითისტარივით შეატოიალებს.

## აკაკის „ახალი ნაკვესები“

### აკაკი შეხვდრიოზე

**აკაკი** თ ბ ი ლ ი ს ი ს „დინამოს“ სტადიონზე ერთ-ერთ უღიმღამო მატჩს დესსწრო.

— ეჰ, გადაშენებულან ძ�ილი მესხეპი! — ნაღვლიანად თქვა მგოსანმა.

### აკაკი კონცერტზე

**აკაკი** ე რ თ ი ულტრათანამედროვე კაკაფონურ-მეგაფონიური ჯაზბანდის კონცერტს დაესწრო. კარგა ხანს უსმინა მგოსანმა თმაგაშლილი და ლეკალდაკაშული ახალგაზრდების ზვიალ-კიკეელს და: — მიცალებული სადღა ეზვენიათ?! — ითხა განცვიფრებულმა.

### თეთრი ლექსი

**აკაკიმ** ე რ თ ი თანამედროვე ძალად ვერლიბრისტის ლექსების კიბეული გადაიკითხა.

— ახლა კი მიეხვდი, რატომ ჰქვია თეთრი ლექსი: რითმასთან ერთად; ხასხლიც გთიერეპაა! — წამოიძახა მგოსანმა.

**შეკრიბა ლერი ჩანტლაძემ**

## პეზარა აკაკი ანვიპოდების წინააღმდეგ

**ჩვენი** ცხოვრების პირველი ანტიპოდი დიდმა აკაკიმ, უფრო სწორად პატარა აკაკიმ, ჯერ კიდევ ექვსიოდე წლისამ აღმოაჩინა. გახსოვთ, ალბათ, დიდი აკაკის, უფრო სწორად პატარა აკაკის ლექსი მოურავზე:

**ბელელს თაგვი შესჩვევია,**
**ხრავს სულ, რაც სახრავიაო,**
**მაგრამ თვითონ დიდი თაგვი**
**თვითონ მოურავიაო!..**

ალბათ, ბევრ ჩვენს თანამედროვე ანტიპოდს შეუძლია იამაყოს იმით, რომ დიდი აკაკის, უფრო სწორად პატარა აკაკის ეს ლექსი მათაც ეძღვნება!

**„ნიანგი“ გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ანკეტური მონაცემები იმ ანტიპოდებისა, რომლებიც, როსტომ ნერეთლის მოურავთან ერთად, ჩვენი სასიქადულო პოეტის ამ ერთ-ერთი პირველი ლექსის გმირებად გამოდგებიან!**

შენი გამომცხვარი პური — ლავაში და მურასაო,
ადამიანს არ ეჭმევა, დაუყარეთ მურასაო!

უფრო მწარე და მწკვავეა,
როცა შინ ეკლავს შენივ ფლიდი!..

შენ, ჩემო ძროხავ, შეიინდაო,
საკვები ალარ გინდაო!..

ალარც ერთს არ ეტყობოდა
ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა ს რამ ნიშანი!..

არ იღვიძებს, თუ უფულოდ
მასთან მივიდა ხტუმარი!

842
80
31.XII

# აკაკის ნაკვესები

ქუთაისში ერთსა და იმავე დროს მსახურობდნენ მოხელეები, გვარად — პრინცი, ბეკი და კნიაზევი. იმ ხანებში გუბერნატორმა ჰკითხა აკაკის, რა აზრისა ხარ ჩემს გუბერნიაზეო? დიდი

არისტოკრატიული გუბერნიაა, — მიუგო პოეტმა, — აქ სამსახურში ამწესებენ პრინცებს, ბეგებს, კნიაზებს და საწყალი ქართველისთვის კი ადგილი აღარა რჩებაო!

●

აბასთუმნის სასტუმროში ანგარიში წარუდგინეს აკაკის. ზედმეტი მიეწერათ და პოეტმაც, როცა გასინჯა, თქვა: ახლა კი მივხვდი რად ეძახიან ამ ადგილს აბასთუმანსო. თურმე აბაზში თუმანს ახდევინებენო!..

●

აკაკი ერთ სადილზე იყო შეწვეული. ვიღაცამ იკითხა: თეთრი ღვინო სჯობს, თუ წითელიო? პოეტი თეთრ ღვინოს სვამდა, მაგრამ პასუხის საგებლად წითელიც დაისხა და რომ არ შოეწონა, თქვა:

— სადილობამდე ეს ღვინოც თეთრი ყოფილა, მაგრამ სუფრაზე რომ მოუტანიათ, სირცხვილით გაწითლებულაო.

●

ერთი უხეირო არტისტი ეუბნებოდა აკაკის: ვერ წარმოიდგენ, რარიგად მიყვარს სცენაო!.. როცა მე არ ვთამაშობ და სცენას ვუყურებ, ურუანტელი მივლის ხოლმეო.

— წარმოიდგინეთ, რომ მეც მაგ მდგომარეობაში ვარ! — უპასუხა აკაკიმ.

— შენ რათა?! ჰკითხა გაკვირვებულმა არტისტმა.

— შიშისაგან!

— რისა გეშინიან?

— იმის, ჩემო კარგო, რომ სცენაზე კარი არ გაიღოს და შენ არ შემოხვიდე! — აუხსნა შეუბრალებლად აკაკიმ.

●

ერთი მოხელე ჩიოდა: — მე აქ, თქვენში, თქვენთანა ვარ, თქვენთვის ვწვალობ, თქვენთვის ვიტანჯები და თქვენ კი არ მაფასებთო!

●

როგორ არაო, — მიუგო აკაკიმ, — მეტი არა შეგვიძლია რა და ღმერთს კი ყოველ დღე ამას ვეხვეწებით: „ყოვლად შემძლებელო, ნუ სტანჯავ ამ კაცს უბრალოდ ჩვენთან, შენ მოუმართე ხელი და, საიდანაც მოსულა, იქვე წაიყვანეო!“

●

ერთმა მელოტმა თქვა: — ერთ ლამაზ ქალს წიგნი მივსწერე, ისე შეგინახავ, როგორც ჩემს თავს-მეთქი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მაინც უარი შემომითვალა.

— სწორედ მაგ მიწერით დაგიფრთხია: რა სასიამოვნოა მუდამ შიშვლად და ცარიელად დარჩენაო? — მიუგო აკაკიმ.

●

ერთხელ აკაკის უთხრა ერთმა ძველი თაობის კაცმა: — ათასიც რომ გვაგინოთ, ისევ თურამე ვართ, ჩვენა ვართო!.. უჩვენოდ თქვენ არად ივარგებთო. ჩვენ რომ მოვკვდებით, თქვენ მშრალზე დარჩებითო!

— მადლობა ღმერთს, — მიუგო აკაკიმ, — ახლა თქვენთან, თქვენის წყალობით, ჭენჭყოში ვართ და მაშინ კი მშრალში ვიქნებითო!

●

ერთმა პედაგოგმა, რომელიც პოეტობასაც ჩემობდა, ახლო სოფელში მიმავალ აკაკის ერთი კვიმატიანი ცხენი ათხოვა და თანაც ლექსების რვეული გაატანა: თუ მოგეწყინოს, ამაღამ ეს გადაიკითხეო. მეორე დღეს ჰკითხა უკან დაბრუნებულ აკაკის:

— როგორ იმგზავრე? ღამე როგორ გაატარე?

— რა უნდა გითხრა, ძმაო დღე შენმა ცხენმა დამტანჯა და ღამე — ლექსებმა. — მიუგო პოეტმა.

●

ერთი მელოტი კაცი ამბობდა: ახლანდელი ყმაწვილების ყოფაქცევას რომ კაცმა უყუროს, თავზე თმა აუდგებაო!..

— გეტყობათ, ბევრი გიყურებიათ, რომ თქვენი თმა არათუ ამდგარა, არ დამდგარა და კიდეც გადაკარგულა ცხრა მთას იქითო! — მიუგო აკაკიმ.

●

აკაკი დალაქთან შევიდა თავის გასაკრეჭად. დალაქი ერთ მელოტს თავს დასტრიალებდა და ორი აბაზი გამოართვა. აკაკიმ ქუდი დაიხურა და გარეულ გამოსვლა დააპირა.

— სად მიბრძანდებით, ბატონო? — შეეკითხა დალაქი.

— თუ მელოტს ორი აბაზი გამოართვი, მე მთელი საცხოვრებელი უნდა მოგცე ჩემი თმის გაკრეჭაში! — უპასუხა დიდთმიანმა პოეტმა.

●

ერთი კბილის ექიმი ცუდად იხსენიებდა აკაკის. როცა ეს აკაკის გადასცეს, იმან ღიმილით თქვა:

— ნეტავ, რა დამიშავებია იმ ყმაწვილისათვის? ალბათ, იმაზე მემდურის, საღი კბილები, რომ მაქვსო.

●

ერთმა ინჟინერმა ხუმრობით უთხრა ნაავადმყოფარ აკაკის: ასე მალე როგორ დაბრუნდი საიქიოდანო?

— თქვენი, ინჟინრების, გაკეთებული გზა რომ ყოფილიყო, დღესაც იქ ვიქნებოდიო.

●

ერთი ვინმე კარგ გუნებაზე იყო სადილად და „მიმინო მყავდა“-ს მღეროდა. იმდენი იმღერა ეს „მყავდა-მიყვარდა“, რომ ყველას თავი მოაბეზრა და ყველაზე უფრო კი აკაკის.

— არ გეტყობა, რომ მიმინო გყოლოდეს! — მაშინ ამდენი მწყრები აღარ გეყოლებოდაო! — მიაძახა ნერვებაძრულმა პოეტმა.

●

არჩევნების დროს ზოგიერთი აბეზარი კენჭოსნები ჰყვიროდნენ: „კენჭი მოგვეცით, კენჭი!.. კენჭმა უნდა გაგვასწოროსო“.

— ნეტავი თქვენ გასწორდებოდეთ და ვინ ოხერი ან ლოდს დაიშურებს თქვენთვისაო! — მიაძახა აკაკიმ.

●

მ. ერისთავი და აკაკი რაოაცაზე წალაპარაკდნენ. ერისთავმა უთხრა პოეტს რიხით: ნუ დაივიწყებ, აკაკი, რომ მე, რაც უნდა იყოს, მაინც ერისთავი მქვიანო!..

— ბატონო, ერი კი აღარა გყავს, ჩამოგართვეს და ცარიელი თავი გინდ იყოს და გინდ არაო!

●

ერთ ლხინში აკაკის სადღეგრძელოსა სვამდნენ და თამადამ ლომი უწოდა. მგოსანმა სიცილით თქვა:

— თუ მართლა ლომი ვარ, კრილოვის „მომაკვდავი ლომი“ უნდა ვიყო, რადგანაც, ამ ბოლო დროს, ვირებმა ძალიან დამაყარეს წიხლებიო!..

●

აკაკი ხონში იყო. წამოსვლისას ეტლში ერთი ადგილი დაიქირავა, მეეტლემ ჩასვა პოეტი ეტლში და, ჩვეულებისამებრ, ბაზრის ირგვლივ ძახილით — „ვის გინდათ, ვის გინდათ“ — რამდენიმეჯერ შემოატარა. აკაკიმ გააჩერა მეეტლე და უთხრა: „ვის გინდათ, ვის გინდათ“, რომ იძახი, ხომ, ხედავ, არავინ მყიდულობს, ისევ მე მითხარი რამდენად ვარ შეფასებული, იქნება შევიძლო თავის გამოხსნაო!

●

ერთი ახალგაზრდა ქართველი კოხტაობით პენსნეს ატარებდა და ხანდახან შუბლზე იდებდა ხოლმე.

— ბატონო აკაკი, რა მიზეზია, რომ ის ყმაწვილი შუბლზე იდებს ხოლმე სათვალეს და არა თვალზეო?

— იმიტომ, რომ ჭკუით არის ბეცი და არა თვალებითო! — მიუგო აკაკიმ.

●

ქუთაისში აკაკის მონანილეობით საღამო გაიმართა. საღამოში მონანილენი მეორე თუ მესამე დღეს სურათის გადასაღებად ბაღში შეიკრიბნენ. აკაკის ერთი ახალგაზრდა შეეკითხა:

— რა აზრისა ხართ, პატივცემულო აკაკი, ახალგაზრდა მგოსნებზე?

— რა გითხრათ, მიუგო აკაკიმ, — სტუდენტობის დროს ერთი პროფესორი გვყავდა. დიდი განათლებული კაციაო, ამბობდნენ , მაგრამ ჩვენ, სტუდენტები, მისი წაკითხულიდან ვერას ვგებულობდით. იგივე ითქმის ზოგიერთ ახალგაზრდა მგოსანზე: შესაძლებელია ძალიან კარგებიც იყვნენ, მაგრამ ერთი ნაკლი აქვთ: როგორც მე, აგრეთვე, ხალხს, არა გაეგება რა მათი!

CONTROL ZONE
ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ

სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა
მხოლოდ ერთადეროი ღონე!..

ახლა კი ვიცი, სადაც ხარ,
სამგან გაქვს ბინა, სულიკო!..

„ასჯერ გაზომეთ და ერთჯერ
გამოსჭერთ!“ — ახლაც ვყვირი მე.

ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!

ნახატები გ. ფირცხალავასი

## აკაკის თანაავტოროგით

ამას წინათ ბაზარს ვიყავ წასული,
ვნახე: ნადუღს ფასი ედო ზღაპრული!
**„შემიდუღდა მაშინ სული და გული;**
**იმ ნადუღში თვით მე ვიყავ დაგული“.**

**„ია და ვარდი' დამჭკნარი“**
სამ-სამ მანეთად ვიყიდე!

**„პირველ შესვლაზე ვერ დაინახა**
**კრძალვით მისული მასთან სტუმარი.**
**ბოლოს შენიშნა“**, არ მცალიაო,
დაუყვირა და დაუხშო კარი!

**„არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს“,**
ვიბრძვით მისი სკამისათვის!

**„ვისაც რა უნდა უყვარდეს“,**
მე მაქვს სხვა ციებ-ცხელება:
ძალიან მიყვარს, კაცი რომ
მელაქუც-მემლიქვნელება!

**„მზემან სხივი მომაფინა მაშინა“,**
ავდექი და... აღარ დამხვდა „მაშინა“!

**„ვერ ავასრულებ თქვენს თხოვნას,**
**გულმკვდარი ვამბობ ვარსაო!“**
უარს არ ვიტყვი, — ტყუილად
თუკი მომიტანთ ქრთამსაო!

**„ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ“,**
მილიონი „პოლლიტროვკა“ დავლილ!

**„მე არ მფერობს ჩემი თავის**
**არც გინება და არც ქება!“**
ამიტომაც თქვენ მაქეთ და
მე გაგინებთ! — ასე მნებავს!

**„დრო მოვა და თავს აიშვებს“,**
თუკი დროზე არ მოვთოკეთ!

**„არც მყვარებია, არც მიყვარს,**
**არც მდომებია, არც მინდა,**
**არც მწამებია, არცა მწამს,**
**შენს გარდა“**, ფ უ ლ ო, **„სხვა წმინდა!“**

## ეპიზოდები პოეტის ცხოვრებიდან

### აკაკი ციხეში

**1907 წ ლ ი ს 11** თებერვლიდან აკაკიმ დაიწყო თავისი იუმორისტული ყოველკვირეული გაზეთის „ხ უ მ ა რ ა ს“ გამოცემა, მაგრამ იგი პირველივე ნომრიდან აიკრძალა, რადგან მასში მხატვარ გიგო ზაზიაშვილის მიერ დახატული თბილისის გუბერნატორის რაუშ-ფონ ტრაუნერბერგის კარიკატურა გამოქვეყნდა. რაუში გამოყვანილი იყო ვირად, რომელსაც ეცვა გუბერნატორის მუნდირი, ქვეშ კი ასეთი ლექსი ჰქონდა მინაწერი:

**დიდყურაანთ ყროკყინას ჩვენები ეჯავრება,**
**საიდანაც მოსულა, იქეთ მიეჩქარება.**

ხელმწიფის მოურავის გამასხარავება აკაკის არ აპატიეს, დააპატიმრეს. როცა აკაკი ციხეში მიიყვანეს, — წერს პოეტი ი. გრიშაშვილი, — მთელი ციხე აფორიაქდა... პატიმრები, განურჩევლად მათი დანაშაულის ხასიათისა, დემონსტრაციულად გამოვიდნენ ეზოში, ყვიროდნენ, მთელ ციხეს აზანზარებდნენ და მოითხოვდნენ საყვარელი პოეტის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. კანცელარიის გამგის ვასილევის მოხსენებისთანავე, სამხედრო გუბერნატორმა ტიმოფეევმა მაშინვე გასცა განკარგულება აკაკის გათავისუფლების თაობაზე. ქაღალდი დაბინდებისას მივიდა ციხეში. აკაკიმ არ მოისურვა ღამით გამოსვლა ციხიდან: ნუ მაწუხებთ! ამეღამ მე აქ დავრჩები და ხვალ დილით წავალო. მართლაც, მეორე დღეს, ტუსაღებმა ზარ-ზეიმით გამოისტუმრეს პოეტი.

### აკაკის ჰონორარი

**ერთხელ** აკაკი „დროების“ რედაქციაში მივიდა. „დროების“ თანამშრომლები მხიარულად შეხვდნენ აკაკის. რაღას გვაწვალებ, მოიტა (ლექსს გულისხმობდა), ჯიბეს გაიკარ ხელია! — უთხრა ილია ბახტაძემ.

— არა, შვილო, იმ ჯიბეს ერთხელ თქვენც გაიკარით ხელი!... ეტლი მიცდის, გაისტუმრეთ და ლექსიც იქნებაო! — უპასუხა მგოსანმა.

— შემოგფიცავ, ამ ერთი მანეთის მეტი არა გვაქვს რედაქციაში! — უთხრა ი. ბახტაძემ და მანეთიანი გაუწოდა.

აკაკიმ ჯიბიდან ლექსი „არაბი ფაშა“ ამოიღო და წაიკითხა.

აღელვებულმა პეტრე უმიკაშვილმა თქვა: უმაწვილებო, ქართული მწერლობის მომავალმა მემატიანემ გულისტკივილით მოიხსენიოს ის ფაქტი, რომ საქართველოს უწარჩინებულეს მგოსანს — აკაკის ერთადერთი ქართული გაზეთის რედაქციამ ერთი მანეთი მისცა ისეთ ლექსში, როგორიც „არაბი ფაშაა“!

— დაე, ისიც მოიხსენიოს იმ მემატიანემ, რომ ამ რედაქციის ოთხი თანამშრომელი ამ ერთი მანეთის იმედით იყო და დღეს უსადილოდ დარჩებიანო! — დასძინა ილია ხონელმა.

### კაცურ გზაზე დააყენა

**ერთხელ** თემობაში აკაკის ჯიბგირი მიეპარა და ჩუმად ხელი ჩაუყო ჯიბეში, სადაც ნაწერი ქაღალდების მეტი არა იყო რა. პოლიციელმა შენიშნა და წაავლო ხელი ჯიბგირს. მწერალმა რომ დამფრთხალი და შეშინებული ახალგაზრდა ქურდი დაინახა, შეეცოდა მი ბრუნდა და სიცილით უთხრა: შე კაცო, აკი ერთხელაც გითხარი, მაგას ნუ შვები-მეთქი! რად იცი ხოლმე ჩემს ჯიბეში ხელის ჩაყოფა? ხელნაწერი რომ არ წაიკითხო, არ იქნებაჭ როცა დაიბეჭდება, მაშინაც მოესწრები სხვებთან ერთად წაკითხვასო;

ეს რომ პოლიციელმა გაიგონა, იფიქრა: ალბათ, ვინმე კარგი შეხუმრებული ნაცნობი ყოფილაო, ბოდიში მოიხადა და გაუშვა ჯიბგირი. რამდენიმე წლის შემდეგ მგოსანს ბარათი მოუვიდა: დიდი ხანია, რაც კი რამ დაბეჭდილა თქვენი და იბეჭდება, ყველას ვკითხულობ. თქვენ რომ პირველად განახეთ, იმ დღიდანვე მე ხელი ავიღე ჩემს პირვანდელ ხელობაზე, შევისწავლე წიგნების კინძვა, მეყიდე გახლავარ და, თუ ინებებთ, წიგნებს ნახევარ ფასად შეგიკინძავთო.

7-80 80-842

ნახ. ზ. ფოტრჩხიძისა

მისი ყეფა მხოლოდ მარტო შურია!..
ვის აშინებს სასაცილო მურია!


საბჭოთა ... ჟურნალი
№ 28 (1585). დეკემბერი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
**ზაურ გოლეგვაძე**

ზარედაქციო კოლეგია:

ბაბუა ამირეჯიბი
ნოდარ ბართაია
ბორის გურგულია
ნოდარ დუმბაძე
რევაზ თევზაძე
ჯემალ ლოლუა
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი)

ბეჟან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)

ალექსანდრე საბსონია
გიგლა ფირცხალავა
ჯანსუღ ჩარკვიანი
თამაზ წივწივაძე
ვაჟა ბანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე)

ნაფი ჯუსოითი

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად
25. 11. 80წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
22. 12. 80 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/2
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 2
საღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა,
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 2894. უე 00793
ტირაჟი 150.950.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 93-62-04, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხა-
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკე-
ბის — 99-02-38, მდივანი-მემან-
ქანის — 99-76-69.

**Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ»**
**(На грузинском языке)**
**Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.**

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137